

კვირის მთავარი მიზნუბები

7-13 აპრილის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- კვირის მთავარი თემა - პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება გაზეთმა "ასავალ-დასავალმა" მხოლოდ ერთ - ლგბტ ჯგუფს დაუკავშირა და ჰომოფობიურ კონტექსტში გააშუქა;
- სიძულვილის ენა ლგბტ პირების ("ასავალ-დასავალი") და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის (რობერტ სტურუა, რეისორი) მიმართ იყო გამოხატული; ხოლო ძალადობისკენ წაქეზებას როგორც საქართველოს პარლამენტის წევრ-

ის (ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება), ასევე ჟურნალისტის (გაზეთი "კვირის ქრონიკა") და ინკოგნიტო რესპონდენტის მხრიდან ჰქონდა ადგილი;

- ისტორიული საფრთხეების კონტექსტში ჩინელების უსაფუძვლოდ მოხსენიება მედია საშუალებამ (თოქ-შოუ სპექტრი, კავკასია) მოახდინა;
- ეთნიკური და რელიგიური, ასევე გეოგრაფიული (მცხეთის მკვიდრი არამართლმადიდებლები) ნიშნით საქართველოს მოქალაქეთა სეგრეგაციას კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის ქადაგებისას ჰქონდა ადგილი; **გაგრძელება გვ. 2**

8, 7-13 აპრილი



მემორანდუმი რელიგიათა საბჭოსთან

10 აპრილს კამპანიის "არა ფობიას!" ფარგლებში მედიის განვითარების ფონდმა და საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას საზოგადოებაში სიძულვილის ენისა და ადამიანების ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად; არსებული სამართლებრივი თუ თვითრეგულირების მექანიზმების, ასევე საჯარო ტრიბუნის გამოყენებას ცალკეული ადამიანების თუ ჯგუფების მიმართ სიძულვილისა და დისკრიმინაციის გამოვლენის ფაქტებზე, რომლის წყარო ხშირად პოლიტიკური კლასი ან თავად მედიაა; საზოგადოებაში ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებას, როგორც ცნობიერების ამაღლების კამპანიების, ასევე



სიძულვილისა და დისკრიმინაციის გამოვლენის ცალკეულ ფაქტებზე შეურიგებელი სამოქალაქო პოზიციის გამოხატვისა და საჯარო კრიტიკის გზით.

შინაარსი

ანტიდისკრიმინაციული კანონი	3
სიძულვილის ენა	3
ძალადობისკენ წაქეზება	4
ეთნიკური და რელიგიური ნიშნით სეგრეგაცია	4-5
ბოშათა საერთაშორისო დღე	5
დეპორტირებული მესხები	6
ანტიდასავლური განწყობები	6
საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროტესტი მინარეთის სავარაუდო მშენებლობასთან დაკავშირებით	7
ჰომოფობია	8

კვირის მთავარი მიზნუბები

დასაწყისი გვ. 1

- ბოშათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ტელეკომპანია "მესტროს" სიუჟეტი პოზიტიურია; ხოლო ტელეკომპანია "იმედის" მიერ მომზადებული სიუჟეტი ერთი მხრივ, ინტეგრაციის პოზიტიურ მაგალითებს შეიცავს, მეორე მხრივ, გარკვეული სტერეოტიპების გაღრმავებას არა მხოლოდ ამ ჯგუფის, არამედ სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართაც უწყობს ხელს. ამავე დროს ჟურნალისტის ქმედება - ზავშვის ნების საწინააღმდეგოდ ვიდეო ფორზე ასახოს მათი სახეები და მათი წინააღმდეგობა აგრესიად მონათლოს - ეთიკური ნორმების დარღვევას წარმოადგენს;
- დეპორტირებული მესხების თემის გაშუქებისას მედია საშუალება (სააგენტო "პირველი") მხოლოდ ერთ წყაროს დაეყრდნო და არ ასახა საქართველოს ხელისუფლების პოზიციის რეპატრაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ისევე როგორც არასწორად გამოიყენა ტერმინი "თურქი მესხი";
- Geworld.ge-ს მხრიდან სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებთა მიერ რუსული პასპორტების აღება საფრთხეებთან და ანტიდასავლურ განწყობებთან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არის დაკავშირებული;
- მეჩეთის სავარაუდო მშენებლობასთან დაკავშირებით საპატრიარქოს უნივერსიტეტის წარმომადგენელთა პროტესტი შუახევის რაიონში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და ინტერნეტპორტალმა "ნეტგაზეთმა" გააშუქეს. არცერთ მედია საშუალებას არ მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, რათა დაედგინათ, არსებობდა თუ არა საკულტო ნაგებობაზე მშენებლობის მოთხოვნა ან შესაბამისი მიმართვა, რაც ფაქტობრივი თვალსაზრისით მეტ სიცხადეს შეიტანდა საკითხში. ორივე მასალის კომენტარები თურქოფობიულ განცხადებებს შეიცავს, თუმცა "მოამბის" სიუჟეტი მეტად დაბალანსებულია ადგილობრივი მუსლიმების კომენტარებით;

- ჰომოფობიური განცხადებების ავტორები მეტწილად ჟურნალისტები (გაზეთები "ასავალ-დასავალი", "ალია", "კვირის ქრონიკა"), ასევე სასულიერო პირები (დავით ისაკაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი) იყვნენ; ხოლო ლგბტ პირების უფლებების დაუსაბუთებელ დაკავშირებას ინცესტთან ერთ შემთხვევაში - რესპონდენტი (გელა ნიკოლაიშვილი, ადვოკატი), მეორე შემთხვევაში 17 მაისის ოპოზიციის აქციასთან ჟურნალისტი (გაზეთი "კვირის პალიტრა") ახდენდა;
- გენდერულ სტერეოტიპების გამოხატვას კათალიკოს პატრიარქის მხრიდან ჰქონდა ადგილი.

პოზიტიური გაშუქების მაგალითები:

- ნეტგაზეთმა ვრცლად გააშუქა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტთან დაკავშირებით ექსპერტული მოსაზრებები, ასევე 2012 წლის 17 მაისის პროცესთან დაკავშირებით ევროსასამართლოში მიმდინარე პროცესი და ქორწინების შესახებ პრემიერის საკონსტიტუციო ინიციატივასთან დაკავშირებით ნეგატიური საერთაშორისო გამოხმაურება;
- ტელეკომპანია "ტაბულას" თოქ-შოუ "თეორემას" წამყვანი (10 აპრილი) დაინტერესდა, შეიცვალა თუ არა თავისუფალი საქართველოს ლიდერმა კახა კუკავამ დამოკიდებულება ლგბტ და რელიგიური ჯგუფების, ასევე საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართ მას შემდეგ, რაც სამოქალაქო სექტორის მიერ ორგანიზებული აქციის "მე ვირჩევ ევროპას" საინფორმაციო კამპანიაში ჩაერთო. ასევე პოზიტიურია გადაცემაში გამოყენებული Vox-pop, რომელმაც აჩვენა, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების თემა დღის წესრიგში არასდროს დამდგარა.

კვირის მთავარი თემა - ანტიდისკრიმინაციული კანონი

კვირის მთავარი თემა - პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვა სატელევიზიო მედიამ დაბალანსებულად გააშუქა, ხოლო გაზეთი "ასავალი-დასავალი" და მისი რესპონდენტები აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის მხოლოდ ერთ ჯგუფთან გაიგივებას ჰომოფობიურ კონტექსტში ახდენდნენ.



ასავალ-დასავალი, 7-13 აპრილი

გიორგი გიგაური ჟურნალისტი: "ანუ ამ კანონმდებლობის მიღების შემდეგ მამათმავლობა ისეთივე ბუნებრივი ნორმა იქნება, როგორც განსხვავებული სქესის, ეროვნებისა თუ კანის ფერის ადამიანი?"

ბურამ ფალაგანდიშვილი, ფილოლოგი: "მაგრამ, რატომ გვაიძულებენ, ბუნებრივ ნორმად ვადიაროთ მამათმავლობა? რატომ უნდა გავუტოლოთ მამათმავლობა ქალობას, ეგვიპტელობას ან მუსლიმანობას?! მაშინ რატომ არ ვაცხადებთ ბუნებრივ ნორმად, მაგალითად პედოფილიას, ნარკომანიას ან ნეკროფილიას?!.. ანუ მათ ექნებათ იმის კანონიერი უფლება, რომ ღიად გაუწიონ პროპაგანდა თავიანთი ცხოვრების წესს, მოითხოვონ დემონსტრაციის უფლება და ასე შემდეგ!..

ჩამონათვალში „სექსუალური ორიენტაციის“ ხსენება იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი ჩვენ გვთხოვს მამათმავლობის ბუნებრივ ნორმად აღიარებას".

სიძულვილის ენა

ასავალ-დასავალი, 7-13 აპრილი



გიორგი გიგაური ჟურნალისტი:

"მვირფასო, მკითხველო, როდესაც ჩვენებურ ლიბერასტებზე საჯაროდ და პირდაპირ ვწერ, ავადმყოფები და სამკურნალოები არიან-მეთქი, ზოგიერთი

ქომაგი - თავადაც არანაკლები ავადმყოფი და სამკურნალო ქვეყანას შეყვრის კვილით, „ასავალ-დასავალი“ და გიორგი გიგაური „სიძულვილის ენით“ ლაპარაკობენ და ქვეყანაში ზიზღს, ბოროტებას და შულს თესავენ!"

კვირის პალიტრა, 7-13 აპრილი

რობერტ სტურუა, რეჟისორი: „ნეტავ რა ჯიშის ადამიანები იცავენ ჩვენს საყვარელ სააკას? - მკვლელს, უვიცს, გახრწნილს, ფლიდს, ჭკუათხელს, უტიფარს, ქურდს, ბოღმას, ქლესას... გადაჭრი და ჩირქიან სხეულში ამბიციების მატლების გარდა ვერაფერს ნახავ!"

კალაღობისკენ წაქეზება

კვირის კალიტრა, 7-13 აპრილი

ზაზა პაკუაშვილი, ქართული ოცნება: "ნუგზარ წიკლაურისთვის წათაქება ამხელა აჟიოტაჟის ატეხის მიზეზი არ უნდა იყოს..."

პარლამენტი საჩხუბარი ადგილი არ არის, მაგრამ გარეთ ამ ხალხთან მუშტი-კრივის გამართვა შეიძლება...

თუ დაპირისპირება დაიწყოს, დამერწმუნეთ, ყველაფერი მათი თავ-პირის მტვრევით დასრულდება."



კვირის ქრონიკა, 7-13 აპრილი

ინკოგნიტო რესპონდენტი: „კახა კალაძეს დავხვდებით სადმე და გავკოჭავთ და მერე მოვთხოვთ პასუხს, იმ ახალ „მარშუტებს“ კი მოლოტოვის კოქტილებს შევუყრით და გადავწვავთ, მაგათ უნდათ ჭამა და ჩვენ ოჯახებს ქუჩაში გვიტოვებენ?“

ნათუნა ელბაძიძე, ჟურნალისტი:

"ხალხი „ფეისბუკით“ ულოცავდა ერთმანეთს წიკლაურის ცემას, გახარებული და აღტაცებული იყო იმით, რომ წიკლაურმა, ბოლოს და ბოლოს, ის მიიღო, რაც ეკუთვნოდა. საცოდავი ნუგზარ წიკლაური! ისე როგორ უნდა სძულდე, რომ შენმა ცემამ ასეთი მასობრივი აღტაცება გამოიწვიოს?"

ჩინელები, როგორც საფრთხე

კაპაბასია, სემპტრი, 9 აპრილი

დავით აშუბარდია, წამყვანი: "მონღოლების დროსაც ვიყავით, შაჰაბასის დროსაც ვიყავით და ათასი ტარტაროზის დროსაც და ვიქნებით ყოველთვის... ჩინელებიც რომ მოგვადგენენ, მაინც ვიქნებით."

http://www.myvideo.ge/?video_id=2304862

ეთნიკური და რელიგიური ნიშნით სეგრეგაცია

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 13 აპრილი

პატრიარქი ილია II: "ჩვენ ძალიან ხშირად გვესმის, რომ დაცული უნდა იყოს უფლებები უმცირესთა, მცირე ხალხისა, მცირე რელიგიის მქონესი, უმცირესობაში მყოფთა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, ვინ დაიცავს უმრავლესობას, ვინ დაიცავს ქართველ ხალხს. ქართულ ხალხს დაიცავს უფალი და გადააფარებს თავის კალთას".

<http://1tv.ge/news-view/67307>

პირველი, 8 აპრილი

ილია II, კათოლიკოს პატრიარქი: "არ შეიძლება, მცხეთის მცხოვრებლები ურწმუნო, მოუნათლავი და ჯვარდაუწერელნი იყვნენ; არ შეიძლება, წმინდა ქალაქში ცხოვრობდე და არ ლოცულობდე ძილის წინ და დილით. ეს ყველაფერი აუცილებელია ბედნიერებისთვის".

http://www.pia.ge/show_news.php?id=10306&lang=geo

ეთნიკური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

პრაიმ ტაიმი, 7 აპრილი

გაზეთმა გამოაქვეყნა საზოგადოების მხრიდან გამოხმაურებები მსახიობ დუტა სხირტლადის სატელევიზიო გადაცემაზე, სადაც მსახიობის არაქართულ წარმომავლობაზე საუბარი:

„სხირტლადე დედის გვარი ყოფილა, თვითონ კი ვალიცკია თურმე და რა ქართველობაზე ლაპარაკობს, მით უფრო რა ქართველობის დაკარგვაზე?!“

http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=377&topic_id=8930#.U0mNV_mSxp4

საქინფორმი, 7 აპრილი

არნო ხილირაგვიშვილი, საქინფორმის

მთავარი რედაქტორი: " მაგრამ თუ დავუჯერებთ პრინციპს, რომ ადამიანი იმ ეროვნებას ეკუთვნის, რომლის ენაზეც იზრდებოდა და ყველაზე უკეთ ლაპარაკობს და აზროვნებს, მაშინ მიშკა სააკიანი - ნახევრად სომეხი - ნახევრად ქართველი არ არის, ხოლო იულკა გრიგიანი - ნახევრად სომეხი და ნახევრად ებრაელი."

http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18420:2014-04-07-09-29-30&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz2vI9slMCD

ბოშათა საერთაშორისო დღე

მაესტრო, ახალი ამბები 9-ზე, 9 აპრილი

პოზიტიურია, რომ ტელეკომპანია "მაესტრომ" ბოშათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული კონფერენცია გააშუქა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბოშები იღებდნენ მონაწილეობას და ყურადღება ინტეგრაციის მხრივ არსებულ გამოწვევებზე გაამახვილა.

http://www.myvideo.ge/?video_id=2304231

იმედი, კანორაჟა, 13 აპრილი

გადაცემა პანორამას სიუჟეტი შეიცავს როგორც ბოშათა ინტეგრაციის პოზიტიურ მაგალითებს, მათ შორის სხვადასხვა აღმსარებლობის ბოშების ყოფას ასახავს, ასევე გარკვეულ შემთხვევებში აღრმავებს სტერეოტიპებს ამ ჯგუფის მიმართ.

კერძოდ, სიუჟეტი ქუჩაში სამათხოვროდ გამოსული ბოშების კადრებით იწყება, სადაც ბავშვთა სახეებიც არის იდენტიფიცირებული, რამაც შესაძლოა, მათ შემდგომ სოციალიზაციას მიაყენოს ზიანი.

ჟურნალისტი ახდენს სტერეოტიპიზაციას, რომ ბოშები, ქურთები და სხვა ეთნიკური უმცირესობები ქუჩაში მათხოვრობით ირჩენენ თავს.

მარიკა ბაკურაძე, ჟურნალისტი: "საშოვარზე გამოსული ბოშები ქურთებთან იყოფენ სამუშაო ტერიტორიას. სოლოლაკის და დიდუბის მხარე მათია, დანარჩენი კი ქურთების და სხვა ეთნიკური უმცირესობების."

ამავე დროს ჟურნალისტი ბავშვების ქმედებას, რომლებიც კამერას ხელს აფარებენ და ითხოვონ, რომ არ გადაიღონ, აგრესიული ხასიათით ხსნის, რაც ეთნიკური სტანდარტის დარღვევაა.

მარიკა ბაკურაძე, ჟურნალისტი: "ბოშებისთვის არადამახასიათებელი აგრესიული ხასიათით ეს უმცირესობები ერთი შეხედვითაც გამოირჩევიან."

სიუჟეტში მოყვანილი სკოლის დირექტორის კომენტარი ბოშა ბავშვების მიმართ სტერეოტიპების გაღრმავებას უწყობს ხელს.

გაგრძელება გვ. 6

დასაწყისი გვ. 5

ნარბიზა ჰინჭარაძე, კობულეთის მე-5 საჯარო სკოლის დირექტორი: "ოჯახიდან არ მოსდგამთ ეს ტრადიცია, რომ განათლების მიღების სიყვარული. არაც შშობლებს აქვთ შესაბამისი განათლება, რომ საკუთარ შვილებს დაეხმარონ."

<http://www.imesi.ge/index.php?pg=news&id=28436&ct=6>

დეპორტირებული მესხები

სააგენტო პირველმა (8 აპრილი) სათაურით "საქართველომ უარი განაცხადა „თურქი-მესხების“ დაბრუნებაზე" გამოაქვეყნა მასალა, რომელიც "როსიისკაია გაზეტასთვის" ორგანიზაცია "ვატანის" ხელმძღვანელების ჟავიდ ალიევის და ფუად პეპინოვის მიერ მიცემულ ინტერვიუს ეყრდნობა.

სააგენტოს მხრიდან არასწორად ხდება ტერმინ "თურქი მესხის" გამოყენება იმ პირთა მიმართ, ვინც 1940-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიიდან იყო დეპორტირებული. ადამიანის ეთნიკური იდენტობა თვითიდენტიფიცირების სფეროა და უმჯობესია, მედიამ მათ მიმართ ისეთი ნეიტრალური ტერმინები გამოიყენოს, როგორცაა "მესხები" ან "დეპორტირებული მესხები".

ამასთანავე სააგენტოს არ მიუღია ზომები, რათა წარმოედგინა საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების პოზიცია დეპორტაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ და მხოლოდ ერთ წყაროს დაეყრდნო.

http://www.pia.ge/show_news.php?id=10494&lang=geo

ანტიდასავლური განწყობები

კვირის კალიტრა, 7-13 აპრილი

ლევან მასაძე, ბიზნესმენი: „ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია, თუ იგი არის ჭიკაძეა რესპუბლიკა, რომელსაც ელჩები და დასავლეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები მართავენ დღემდე? ჯერ ერთი დასავლეთს არა აქვს უფლება, ქვეყნის სუვერენულ პროცესებში ჩარევისა და თუ იგი სამართლიანია და დემოკრატიულია, რატომ ვერ უნდა გაიგოს ჩვენი სიმართლე? და თუ იგი არ არის სამართლიანი და დემოკრატიული, მაშინ რაღას ნიშნავს საქართველოს სწრაფვა დასავლეთისაკენ? დასავლეთს მლიან სჭირდება საქართველო ამ რეგიონში, იქნებ არანაკლებ ვიდრე საქართველოს-დასავლეთი.“

ასავალ-დასავალი, 7-13 აპრილი

გურამ ფავლენიშვილი, ფილოლოგი:

“თუ ნამდვილი, ქართული, ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული ქრისტიანული ფასეულობების პატივისცემელი სახელმწიფოს აშენება გვსურს, ხმა უნდა ავიმალლოთ მამათმავლობის ბუნებრივ ნორმად დაკანონების წინააღმდეგ!.. თორემ სულ ცოტა ხანში ჩვენც იგივე დაგვემართება, რაც ევროპასა და ამერიკას დაემართათ, სადაც დღის წესრიგს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები კარნახობენ!

გიორგი ბიბაური ჟურნალისტი: "და თუ მამათმავლობის ბუნებრივ ნორმად დაკანონების გარეშე ევროკავშირი უარს გვეტყვის ინტეგრაციაზე?"

გურამ ფავლენიშვილი: მაშინ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ასეთ ევროკავშირზე, რომელიც არაფრად დაგიდევს ათასწლოვან ქართულ ტრადიციებს და სარწმუნოებას!"

ანზორ აბრალავა, სოლიდარობა: “ამ ორგანიზაციებს [ევროკავშირი, ნატო] საზარბაზნე ხორცად ვჭირდებით?”

ელგუჯა სოღელი, დედამიწა ჩვენი

სახლი: “სამწუხაროდ, აფხაზეთი და ცხინვალის საქართველოსთვის უკვე დაკარგულია, დანარჩენი 80 პროცენტი კი ამერიკის შეერთებული შტატების მიერაა ოკუპირებული.”

საქინფორმი, 7 აპრილი

არნო სიღირაშვილი, საქინფორმი:

უნდა ვაღიაროთ, „ტკბილი წყვილი“ ნიჭიერია - რუსეთისადმი სიმულვილიზმი მათ USA-ისტორიის მანძილზე ყველა “დემოკრატიის მამას” აჯობებს, ხოლო მაკკეინის ტიპის თანამედროვე რუსოფობები, თავიანთი საუკეთესო აღზრდილების შემხედვარე, იფსამენ - ან გულის აჩუყებისგან, ან შარდის შეუკავებლობისგან, რაც ვიეტნამში ტყვეობის შემდეგ სჭირთ.”

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18420:2014-04-07-09-29-30&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#xzz2yl9KhK1g

საფრთხე დაუსაბუთებელი აკვირება

GEWORLD.GE, 10 აპრილი

კოტე კირაშვილი: "ისინი [სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებლები] ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ გაერთიანებას, გარდა რუსეთის ფედერაციისა... ასეთი წაყრუება ხელისუფლების მხრიდან, რომლებიც ყოვლის მცოდნე დალაი-ლამებად გვევლინებიან და ტელე ეკრანებიდან გვმოძღვრებენ ევროპის, ლამის დეგენერატობამდე მისულ ღირებულებებზე, ამ ადამიანებს სეპარატიზმისკენ უბიძგენენ და გამოდის რომ სულ მალე კიდევ ერთ ცხელ წერტილს მივიღებთ, სამცხე-ჯავახეთის სახით."

<http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=10010>

საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროტესტი მინარეთის სავარაუდო მშენებლობასთან დაკავშირებით

ინტერნეტ პორტალმა "ნეტგაზეთმა" (10 აპრილი) და საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვება "მომამბე" (11 აპრილი) გააშუქეს საპატრიარქოს ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტების, ლექტორ-მასწავლებლებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის პროტესტი შუახევის რაიონის სამუფთოს შენობაზე მინარეთის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც ორივე მედია საშუალების ცნობით, თავად მუსლიმთა სამუფტო არ ადასტურებს. არცერთ მედია საშუალებას არ მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის დამატებით გადამოწმების მიზნით, რათა დაედასტურებინათ, არსებობდა თუ არა საკულტო ნაგებობაზე მშენებლობის მოთხოვნა ან შესაბამისი მიმართვა, რაც ფაქტობრივი თვალსაზრისით მეტ სიცხადეს შეიტანდა საკითხში.

ორივე მასალაში პროტესტის მონაწილე პირების მხრიდან ამ ნაბიჯის მეზობელი სახელმწიფოს - თურქეთის ქმედებებთან გაიგივება და თურქოფობიული განცხადებების გაკეთება ხდება.

მოაგბე

სსლმის მკარქიის მთავარეპისკოპოსი: "ეს საქართველოა, აქ ქართველი ხალხი განაგებს და არა თურქი განაგებს".

<http://1tv.ge/news-view/67198>

ნეტგაზეთი

მარინა კონცელიძე, ქედის მცხოვრები: „არავის სურს თურქული სკოლები და ბაღები გაიხსნას, უფრო მეტიც მეჩეთი და მინარეთი დააყენონ სასწავლებლის მახლობლად.“

მეუფე სკირიძონი: „აქაურთა უკვე თავისი ჰგონიათ, ყველა სოფელში არის ჯამე და ამის ნაკლებობა არ არის, თუმცა მათ სულ სხვა ინტერესები აქვთ. მოვითხოვთ უკანონობა, უღმერთობა აღიკვეთოს და საბოლოოდ მათ თავგასულობას წერტილი დაესვას! ჩვენ არ მივცემთ უფლებას მინარეთი აღმართონ თურქებმა...“

ეს არის „დიდი თურქობა“.

ბათუმში უბნები და ქუჩები აქვთ, ახლა შემოდგომის ზემო აჭარაში ცოლ-შვილით დამკვიდრება უნდათ, სკოლებს და ბაღებს გვთხოვენ.“

<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/30257.htm>

ამასთანავე, "მომამბის" სიუჟეტი ამ მხრივ უფრო დაბალანსებულია და სამუფტოს კომენტარის გარდა, წარმოდგენილია ადგილობრივი მუსლიმების კომენტარები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი ქართველები არიან და თავიანთ მცირე ზომის სამლოცველოში ლოცულობენ.

გაგრძელება გვ. 8

რელიგიურ თემებზე სპეკულაციები

გაზეთების "კვირის ქრონიკა", ასავალ-დასავალი" მხრიდან, ასევე სააგენტო "პირველის" ინფორმაციაში რელიგიურ თემებზე სპეკულაციები 2004 წელს ხელისუფლების მიერ განკვეთილი მღვდლის ბასილ მკლავიშვილის დაკავებას უკავშირდებოდა, რომელსაც, თავის მხრივ, იეჰოვას მოწმეებსა და ბაპტისტებზე განხორციელებული თავდასხმების გამო ედებოდა ბრალი.

მედია საშუალებები სასულიერო პირის დაკავებას უშუალოდ ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და იმ დროინდელი პარლამენტის წევრს გიგა ბოკერიას, როგორც "ემშაკის მოციქულებს" ("კვირის ქრონიკა"), "ქართველ მანქურთებს", "სააკაშვილის სექტას" ("ასავალ-დასავალი") უკავშირებდნენ; ხოლო დაკავების სპეცოპერაციის ხელმძღვანელის გოგი თათუხაშვილის შვილის გარდაცვალებას, როგორც მედია, ასევე თავად სასულიერო პირი - ღვთის რისხვას:

პპირის ქრონიკა, 7-13 აპრილი

ღვთის მტრად, ჟურნალისტი: „ღმერთი სამართლიანია და არავის არაფერს არ უკარგავს არც მადლსა და არც ცოდვას, დღეს გიგა ბოკერიასა და ამ სპეცოპერაციის მომხრე პოლიტიკოსებს სასამართლოში დაათრევენ, უშუალო შემსრულებლებს კი, სხვადასხვა ფორმით სჯის. ვწუხვარ, მაგრამ ამ სპეცოპერაციის 4 მონაწილე ცოცხალი აღარ არის, ორი კი ინვალიდის სავარძელსაა მიჯაჭვული. გიგა ბოკერია ქართული ეკლესიისა და პირადად, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის პირადი მტერია. სწორედ ის ხელმძღვანელობდა ამერიკაში დაგეგმილ სპეცოპერაციას „ორი პატრიარქი“, რომლის მიზანაც ქართულ ეკლესიაში შუღლის ჩამოგდება, სინოდის წევრთა ორად გაყოფა და საბოლოო ჯამში, ეკლესიის ორად გახლეჩა იყო“.

ასავალ-დასავალი, 7-13 აპრილი



მამა ბასილ მკლავიშვილი, პროტოპრეს-ვიტერი: „ვაფრთხილებ ყველას : 10 წლის წინათ ვინც მონაწილეობა მიიღეთ ჩვენი ეკლესიის ბარბაროსულ დარბევაში, სასწრაფოდ მოინანიეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შთამომავლობით დაისჯებით!.. ეკლესიის დარბევიდან ცოტა ხნის შემდეგ თათუხაშვილზე მოვიდა ღმერთის სასჯელი. ის თითქმის დაბრმავდა და სხვა სერიოზული დაავადებაც დაემართა.“

კომოვობა

ასავალ-დასავალი, 7-13 აპრილი

თემურ ყივციანი, ლოტბარი: "სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ძალიან ბევრი ჰომოსექსუალი დაინიშნა, ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება! გეუბნებით პირდაპირ - არ შეიძლება ამ ბინძური ხალხის გაკარება! ხორციელდება დივერსია ქართველი ერის, ჩვენი ჯიშის, ჩვენი კულტურისა და ჩვენი ხელოვნების წინააღმდეგ".

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: "თქვენ ორივე

ციხის მამათმავლების უსტაბაშის აწყელა მაზმანიანის გურუები ხართ!"

ალია, 10 აპრილი

თამარ ოქრუაშვილი, ჟურნალისტი: "ელგებეტე" აქციის მონაწილეებს იმიტომ დაუპირისპირდა ხალხი, რომ გარყვნილების პროპაგანდას ეწეოდნენ. არის თუ არა ეს ხალხი გარყვნილი?

კოტე ყუბანგიშვილი, პოეტი: არა, არა, საცოდავი ხალხია და არის უბრალოდ ხალხი,

ვინც მაგათზე ფულს აკეთებს, იმიტომ რომ ევროპის ნორმებია, რომ უმცირესობასაც ჰქონდეს უფლება თავისი აზრის გამოხატვის.”

ასავალ-დასავალი, 7-13 აპრილი
მეთევანე სამიტაშვილი, ჟურნალისტი: "დიახ, ეს ადამიანები დარწმუნდნენ, რომ ეკლესიის წინამძღოლის ერთ დამახილზე მთელი საქართველო ფეხზე დადგება და 17 მაისის გარყვნილ აქციას არ ჩაატარებინებს. იქნებ ამიტომაც გადაიფიქრეს ლგბტ აქტივისტებმა ამ ღონისძიების მოწყობა, თუმცა, რომ იტყვიან ეშმაკს არ სძინავს."

ინტერპრესნიუსი, 13 აპრილი
სასულიერო პირების მიმართვა პარლამენტის თავმჯდომარისადმი: "გთხოვთ, აიკრძალოს საქართველოში ჰომოსექსუალიზმისა და ყოველგვარი გარყვნილების ქადაგება, როგორცაა ლგბტ ადამიანები და საჯარო მსვლელობები. ასევე გთხოვთ აკრძალოთ ჩვენება ახლად გადაღებული ქართული ფილმისა, ქართველ ჰომოსექსუალებზე. ეს ყველაფერი გამიზნულია ჩვენი ბავშვების, ახალგაზრდებისა და მთლიანად ერის გასარყვნილად და გადასავგარებლად. პარლამენტის წევრებს ვთხოვთ კანონით აკრძალონ ლგბტ პროპაგანდა ქუჩებში, საჯარო ადგილებში, უმაღლეს სასწავლებლსა და სკო-

ლებში"

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/277848-sasuliero-pirebi-damrevil-filmis-qchven-gizhebi-varthq-dagegmil-chvenebas-aprotesteb.html?ar=A>

პირველი, 13 აპრილი
ღავითი ისაბაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი: "ჩვენი აქ შეკრების მიზანია პარაკლისის გადახდა. როგორც შევი-ტყვეთ, კინოთეატრ "რუსთაველში" მამათ-მავლებზე, ქართული ამაზრები ფილმის ჩვენება გაიმართება, რომელიც თავისებური ქადაგება, გარყვნილების სახე გახდება. ვთხოვთ ხელისუფლებას, აღკვეთოს გარყვნილების ქადაგება ჩვენს ქვეყანაში".

http://pia.ge/show_news.php?id=11122&lang=geo

ტაბულა, თეორემა, 10 აპრილი
კახა კუპაძე, თავისუფალი საქართველო, მერობის კანდიდატი: "თქვენ ალბათ გგონიათ, ქალბატონო თამარ, რომ ეს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა მარტო რუსეთში არის აკრძალული და მარტო პუტინმა აკრძალა და მთელ დანარჩენ მსოფლიოში ეს წახალისებული არის ეს რა თქმა უნდა ასეთნაირად არ არის."

http://www.myvideo.ge/?video_id=2307577

სემსუალურ უმცირესობათა უფლებების დასაცავთი ბაიბიკვა ინტერნეტის

ტაბულა, თეორემა, 10 აპრილი

გელა ნიკოლეიშვილი, ადვოკატი: "ბატონმა ბექამ თქვა: ვის რა ეკითხება ერთსქესიანთა ქორწინება ერთსქესიანი ინება თუ ორ სხვადასხვა სქეს შორის? კარგით არ ეკითხება, მაშინ წავიდეთ ჩვენ კიდევ უფრო სიღრმეში - სახელმწიფომ უნდა დაუშვას თუ არა მამასა და შვილს შორის ქორწინება? ვის რა ეკითხება, თუკი ორი ადამიანის სურვილია. უნდა დაუშვას თუ არა წყვილი ოჯახები 3 ქმარი, 4 ცოლი სიტყვაზე, ერთდროულად?"

http://www.myvideo.ge/?video_id=2307580

17 მაისის დასაცავთი დაკავშირება ოპოზიციის აქციასთან

კვირის კალიტრა, 7-13 აპრილი

უტა ბიჭაძე, ჟურნალისტი: "მარშანდელი 17 მაისი მინდა გაგახსენოთ. შეიძლება წლებადედი 17 მაისი უფრო მძიმე აღმოჩნდეს? მით უფრო, რომ ყოფილი ხელისუფლება გამოსვლებით იმუქრება."

სურობაციის გზით დაბადებულია, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დისკრიმინაცია

ასაკალ-დასაკალი, 7-13 აპრილი

ჯაბა მემიძი: “ყველას გვახსოვს, რომ ე.წ. უპატრონო, მზრუნველობამოკლებული ბავშვები სისტემის ერთგულნი არიან - სადამსჯელო რაზმის შემადგენლობა, პუტინი და მსგავსნი. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ადამიანს საერთოდ არ ჰყავს მშობელი - ის მოყვანილია ამ ქვეყნად ხელოვნური განაყოფიერების მეთოდით, ჩამოყალიბებულია ხელოვნურ საშვილოსნოში, აღზრდილია ხელოვნური სისტემის მიერ... გთხოვთ, სიტყვაზე მენდოთ და უკვე ახლა დაიწყეთ მზადება იმისთვის, რომ მსგავსი საძაგლობა არ დამკვიდრდეს ჩვენს ქვეყანაში...

უშილობა, კიბო, სქესობრივი ფუნქციების დაქვეითება, სახსრების პრობლემები. ყველაფერი არაბუნებრივი ურტყამს ადამიანის რეპროდიქციულ ფუნქციას და სწორედ ეს არის სისტემის მიზანი - ადამიანები ვეღარ გამრავლდნენ ღვთით დაწესებული გზით.”

გენდერული სტერეოტიპები

ნებგაზეთი, 13 აპრილი

ილია II, კათალიკოს კატრიარქი: "ქმარმა უნდა იგრძნოს, რომ ის არის თავი ოჯახისა".

<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/30328/>

სახელმწიფო მინისტრი “მრავალფეროვნების სკოლაში”

12 აპრილს "მრავალფეროვნების სკოლის" სტუდენტები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს პაატა ზაქარეიშვილს შეხვდნენ.

შეხვედრა დისკუსიის ფორმატით წარიმართა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას შეეხო.



